ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ე. წ. ადვოკატ დ. კ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: ზურაბ ძლიერიშვილი

საჩივრის ავტორი: ე. წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.11.2011

საჩივრის რეგისტრაციის #094/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ, სიითი #

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2011 წლის 9 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. წ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ე. წ.-მ 2011 წლის 22 ნოემბერს და 2011 წლის 2 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით, მას სამოქალაქო დავა აქვს თავის დეიდაშვილთან, ნო. კ.-სთან, რომელსაც 76 000 ა.შ.შ. დოლარი ასესხა, თუმცა,. ნო. კ.-მ ვალის გადახდას თავი აარიდა და დანაპირები არ შეასრულა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ამ სამოქალაქო დავაზე მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი დ. კ. 2011 წლის იანვრიდან. საადვოკატო მომსახურებაში ე. წ.-მ ადვოკატს 500 ლარი გადაუხადა.

1.4 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ადვოკატმა შეაფასა ნო. კ.-ს ქონება და დაჰპირდა ე. წ.-ს კუთვნილი თანხის დაბრუნებას. ადვოკატთან შეთანხმების დროს ნო. კ.-ს ქონება იპოთეკით იყო დატვირთული ,,თი-ბი- სი“ ბანკისა (19500 აშშ დოლარი) და ნ. კ.ს (7000 აშშ დოლარის ოდენობით) სასარგებლოდ.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ე. წ.-მ სთხოვა ადვოკატს, ნო. კ.-ს საცხოვრებელი სახლი დაეტვირთა იპოთეკით მის სასარგებლოდ, რითაც ე. წ. გახდებოდა მე–3 რიგის კრედიტორი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. კ.-მ შეგნებულად არ გააფორმა იპოთეკის ხელშეკრულება.

1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატის რჩევით ნო. კ.-ს სახლს დაედო ყადაღა ე. წ.-ს სასარგებლოდ. ამასთან, დ. კ.-მ დააიმედა საჩივრის ავტორი, რომ ის მიიღებდა ნო. კ.-ს ქონებას აუქციონის საშუალებით.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. კ.-მ შესთავაზა მას ,,თი-ბი-სი“ ბანკისა და იპოთეკარ ნ. კ.ს ვალის გასტუმრება, რისთვისაც ადვოკატი საჩივრის ავტორს სესხის სახით გადასცემდა 25 000 აშშ დოლარს, სანაცვლოდ

ე. წ.-ს იპოთეკით უნდა დაეტვირთა ნო. კ.-ს ქონება ადვოკატ დ. კ.-ის სასარგებლოდ.

1.8 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ უარი განაცხადა დ. კ.-ის სასარგებლოდ ნო. კ.-ს ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე, რადგან მიხვდა, რომ ადვოკატი აჭიანურებდა საქმეს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნო. კ.-სა და საჩივრის ავტორის მორიგება ვერ შეძლო, პირიქით, ის მოქმედებდა მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად; ადვოკატმა ვერც ნო. კ.-ს სახლი დატვირთა იპოთეკით ე. წ.-ს სასარგებლოდ.

1.10 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა რამდენჯერმე მოაწყო მისი და იპოთეკარ ნ. კ.ს შეხვედრა, ამასთან, ადვოკატი სთავაზობდა საჩივრის ავტორს, რომ გადაეხადა ნ. კ.-სთვის ნო. კ.-ს ვალი. ადვოკატმა 2011 წლის 1 ნოემბერს თავისი კლიენტი - ე. წ. შეახვედრა იპოთეკარ ნ. კ.-ს. იპოთეკარისა და ე. წ.-ს შეთანხმებით, ამ უკანასკნელს უნდა გაესტუმრებინა ნო. კ.-ს ვალი, რომელიც შეადგენდა 7000 ა.შ.შ. დოლარს და 7200 ა.შ.შ. დოლარს პროცენტის სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში ნ. კ. სააღსრულებო ფურცელს აიღებდა ე. წ.ზე უფრო ადრე და გაიტანდა ნო. კ.-ს ქონებას აუქციონზე. დ. კ.-მ განუმარტა ე. წ.-ს, რომ ნ. კ.ს ამგვარი ქმედებით მას მიადგებოდა დიდი ზიანი. საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა ნო. კ.-ს ვალის გასტუმრებაზე იმ მოტივით, რომ 14 200 ა.შ.შ. დოლარი მას არ ჰქონდა. ამასთან, საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ ადვოკატი დ. კ. არ ეხმარებოდა, პირიქით, ამძიმებდა საქმის ვითარებას.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. კ.სთვის ვალის გადახდაზე მან 3-ჯერ განაცხადა უარი, ხოლო მეოთხე შეხვედრაზე მხარეები მორიგდნენ, რომ ნ. კ. ე. წ.-ზე ადრე არ აიღებდა სააღსრულებო ფურცელს 2011 წლის 20 დეკემბრამდე. ამ შეთანხმების სანაცვლოდ, ე. წ.-მ იპოთეკარს გადაუხადა 500 ა.შ.შ. დოლარი, დამატებით 500 ა.შ.შ. დოლარი კი უნდა გადაეხადა მეორე დღეს.

1.12 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა დ. კ.-მ ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა და მოქმედებდა მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. საჩივრის ავტორმა შემთხვევით გაიგო, რომ ადვოკატმა დ. კ.-მ იპოთეკარ ნ. კ.-ს გადაუხადა 10 000 ა.შ.შ. დოლარი და მათ შორის გაფორმდა ვალის გადავადების ხელშეკრულება, რომელიც დამოწმდა სანოტარო წესით. ე. წ.-მ განმარტა, რომ სწორედ ამ მომენტიდან დაკარგა მან საკუთარი ადვოკატის მიმართ ნდობა.

1.13 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. კ.-მ უარი განაცხადა დარჩენილი თანხის - 500 ა.შ.შ. დოლარის აღებაზე და 2 კვირის შემდეგ ე. წ.-ს დაუბრუნა მის მიერ გადაცემული თანხა – 500 ა.შ.შ. დოლარი. თანხის მიღების თაობაზე ე. წ.-ს დააწერინეს ხელწერილი.

1.14 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან ამდვოკატს მოსთხოვა განმარტება, თუ რატომ გადაუხადა ადვოკატმა იპოთეკარ ნ. კ.-ს 10 000 ა.შ.შ. დოლარი მისი ნებართვის გარეშე. ადვოკატმა დ. კ.-მ ე. წ.-ს შესთავაზა ნ. კ.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმება და მისთვის 16 500 ა.შ.შ. დოლარის დაბრუნება.

1.15 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. კ.-მ შეგნებულად გააჭიანურა მისი სამოქალაქო დავა 12 თვით, იპოთეკარს ფარულად გადაუხადა ნო. კ.-ს ვალი, რის შედეგად ადვოკატმა მიიღო სარგებელი ყოველთვიურად 750 აშშ დოლარიდან 800 აშშ დოლარამდე. ადვოკატმა დ. კ.-მ თაღლითური მეთოდებით იმოქმედა, გამოიყენა ე. წ.-ს ნდობა და რწმუნებულება მისი კუთვნილი თანხის მისათვისებლად.

1.16 საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2012 წლის 9 მარტის სხდომაზე დაეთანხმა დისციპლინური საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე მიცემულ ახსნა-განმარტებებს და დამატებით განაცხადა, რომ ადვოკატ დ. კ.-ს დაჰპირდა, რომ 5000 ა.შ.შ. დოლარს გადაუხდიდა საადვოკატო მომსახურებაში თუ 80 000 ა.შ.შ. დოლარის მიღებაში დაეხმარებოდა.

1.17 საჩივრის ავტორმა ადვოკატ დ. კ.-ს შესთავაზა, მოეხდინა ნ. კ.ს ჩანაცვლება მისით, რისთვისაც ე. წ. გადაიხდიდა 7 000 ა.შ.შ. დოლარს. წ.-ს განცხადებით ადვოკატმა განუმარტა, რომ ნო. კ.-ს თანხმობის გარეშე ჩანაცვლება არ მოხდებოდა და სხვაგვარადაც არ იყო შესაძლებელი ამის გაკეთება .

1.18 ე. წ.-ს განცხადებით, ადვოკატმა დ. კ.-მ შეგნებულად არ ჩაანაცვლა ნ. კ. მისით. წ.-ს განმარტებით, იმ დროს მის საკუთრებაში იყო ავტომობილი და მზად იყო გაეყიდა ის იპოთეკარის- ნ. კ.ს ვალის გასასტუმრებლად. წ.-ს განცხადებით, მის კუთვნილ თანხას 80 000 ა.შ.შ. დოლარს თუ ვერ ამოიღებდა, სარდაფი მაინც დარჩებოდა საკუთრებაში.

1.19 წ.-მ განმარტა, რომ ადვოკატმა თავად გააფორმა ხელშეკრულება ნ. კ.-სთან 10 500 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე და ამ თანხას მისი გადაცემული 500 აშშ დოლარიც მიამატა თვითნებურად. კერძოდ, 500 ა.შ.შ. დოლარი გადახდილად ჩათვალა ადვოკატმა და კ.-ს 10 000 ა.შ.შ. დოლარი გადაუხადა.

1.20 ე. წ.-ს განმარტებით, მას ადვოკატთან აქვს პრეტენზია, რადგან ადვოკატის მსგავსად შეეძლო ეყიდა ნ. კანიაშვილის მოთხოვნა და გადაეხადა 7 000 ა.შ.შ. დოლარი. ამჟამად, ნ. კ.ს სასარგებლოდ, იმატა პროცენტებმა და 7000 ა.შ.შ. დოლარი გახდა 18 000-19 000 ა.შ.შ. დოლარი. ამასთან, სარდაფი 20 000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი არ ღირს და ფაქტობრივად აზრი არ აქვს საქმის წარმოებას. ე. წ. მიიჩნევს, რომ ძალიან დიდი ზიანი მიადგა ადვოკატის ქმედებით.

1.21 ე. წ.-ს განცხადებით მან ადვოკატ დ. კ.-ს შესთავაზა, რომ გადაუხდიდა ნ. კ.სათვის გადახდილ თანხას, აგრეთვე, დამატებით 1000 ა.შ.შ. დოლარს., ე. წ.-მ,

ადვოკატ დ. კ.-ს ნოტარიუსთან შესთავაზა 10 500 ა.შ.შ. დოლარის და დამატებით 500 ა.შ.შ. დოლარის ოდენობით თანხის გადახდა. ნოტარიუსთან ასევე იმყოფებოდნენ ნ. კ. და მისი წარმომადგენელი. ე. წ.-ს განცხდებით, ადვოკატმა დ. კ.-მ უარი განაცხადა შეთავაზებული თანხის აღებაზე და თავად გამოიანგარიშა მასზე გადასაცემი თანხის ოდენობა. ადვოკატმა წ.-ს მოსთხოვა 15 500 ა.შ.შ. დოლარის გადახდა.

1.22 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის 2012 წლის 6 აპრილის სხდომაზე განაცხადა, რომ ადვოკატი კ. სთავაზობდა გაეფორმებინა ნო. კ.-სთან წინარე ხელშეკრულება და ყადაღა მოეხსნა ნო. კ.ს ქონებისთვის. წ.-ს განცხადებით, ნო. კ. ქონებას გაასხვისებდა, თუმცა დ. კ. არწმუნებდა, რომ წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნო. კ. ქონებას ვერ გაასხვისებდა. წ.-ს განცხადებით, მან კონსულტაცია გაიარა სხვა იურისტებთან, რომლებმაც განუცხადეს, რომ ყადაღადადებულ ქონებზე წინარე ხელშეკრულების გაფორმება არ შეიძლებოდა. წ.-ს მოსაზრებით, ნო. კ.სა და დ. კ.-ს შორის კიდევ ცალკე არსებობდა გარკვეული შეთანხმება.

1.23 ე. წ.-ს განმარტებით, ადვოკამა მის საბანკო ანგარიშებს დაადო ყადაღა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ დ. კ.-ის 2011 წლის 29 ნოემბრის განმარტებით, დ. კ.-ს უნდა დაეცვა ე. წ.-ს ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში და მისი დეიდაშვილისგან უნდა ამოეღოთ 76 000 ა.შ.შ. დოლარი, რომელიც წ.-ს ჰქონდა გადაცემული.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსამართლე გიორგი სულაკაძის თავმჯდომარეობით დაკმაყოფილდა წ.-ს სარჩელი და ნო. კ.-ს დაეკისრა ე. წ.-ს სასარგებლოდ 76 000 ა.შ.შ. დოლარის გადახდა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ნო. კ.-მ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა, აპელანტმა ორჯერ არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო მისი საჩივარი.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნო. კ.-მ შეიტანა კერძო საჩივარი. საქმის მასალები გადაეგზავნა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც 2011 წლის 10 ნოემბერს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ დაყადაღებული იქნა ნო. კ.-ს ქონება, რომელიც იპოთეკით არის დატვირთული ბანკისა და ნ. კ.ს მიერ.

2.6 ადვოკატი განმარტებით, მან და ე. წ.-მ ვერ მოიპოვეს ინფორმაცია, თუ რა თანხა ჰქონდა ნო. კ.-ს ბანკისთვის გადასახდელი, ხოლო მეორე იპოთეკარის-უგზარ ნ. კ.სგან მარტის თვეში მათ მიიღეს დაპირება, რომ ის 3-4 თვე არ გაიტანდა ნო. კ.-ს სახლს აუქციონზე, რადგან ამით დაზარალდებოდა ე. წ.. ივლისის თვეში ადვოკატს დაუკავშირდა ნ. კ. და განუმარტა, რომ ის კიდევ დაიცდიდა ოქტომბრამდე.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან იყო საფრთხე იმისა, რომ ნ. კ. ნო. კ.-ს სახლს გაიტანდა აუქციონზე მანამ, სანამ უზენაესი სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას, ადვოკატმა რამდენჯერმე შესთავაზა ე. წ.-ს გადაეხადა იპოთეკარისთვის ნო. კ.-ს ვალი. ე. წ.-მ უარი განაცხადა ვალის გადახდაზე იმ მოტივით, რომ შემდეგ აუქციონისთვის სავაჭრო თანხა აღარ ექნებოდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან 1 ნოემბერს იპოთეკარ ნ. კ.-ს გადაუხადა ნო. კ.-ს ვალი-10 500 ა.შ.შ. დოლარი, რათა აერიდებინა ე. წ.-სათვის მოსალოდნელი ზარალი. ადვოკატის განცხადებით, თანხის გადაცემის თაობაზე საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო.

2.9 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურებაში ე. წ.-მ მას გადაუხადა 300 ა.შ.შ. დოლარი ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. საქმის დასრულების შემდეგ კლიენტს უნდა გადაეხადა 5000 ა.შ.შ. დოლარი, რაც უნდა გაფორმებულიყო წერილობითი ფორმით. ე. წ.-მ კი თავი აარიდა ხელშეკრულების გაფორმებას და მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ნაკისრი ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით.

2.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ის მოქმედებდა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად, მან პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და საქმე დაასრულა 100%_იანი მოგებით ე. წ.-ს სასარგებლოდ. საჩივრის ავტორმა კი ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა, კერძოდ, მას წინასწარ ჰქონდა განზრახული ჰონორარის გადახდისაგან თავის არიდება და სწორედ ამიტომ მიმართა ეთიკის კომისიას.

2.11 ადვოკატმა დ. კ.-მ ეთიკის კომისიას 2012 წლის 9 მარტის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა საპროცესო ეტაპზე განმარტებული გარემოებები. ადვოკატის განმარტებით, მან იპოთეკ-კ.-ს გადაუხადა საკუთარი თანხა 10 000 აშშ დოლარი. წინა დღეს ე. წ.-მ ნ. კ.-ს 500 აშშ დოლარი გადაუხადა, თუმცა ამაზე არანაირი იურიდიული დოკუმენტი არ გაფორმებულა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, ე. წ.-ს ფული ჰქონდა, მაგრამ სურდა ამ ფულის გამოყენება აუქციონზე სავაჭროდ. ამასთან, ნ. კ.-სთან უფლების დათმობის ხელშეკრულება ვერ შესრულდებოდა, რადგან უძრავ ქონებაზე ყადაღა იყო

დადებული. ამასთან ადვოკატმა განმარტა, რომ ე. წ.-მ თავად არ გააფორმა ხელშეკრულება ნ. კ.-სთან.

2.13 ადვოკატის განცხადებით, ნ. კ.-სთან გააფორმა ხელშეკრულება, რათა ნ. კ.-ს არ გაეტანა ქონება აუციონზე.

2.14 კომისიასთან გასაუბრებისას ადვოკატმა დ. კ.-მ განმარტა, რომ მას არანაირი მოქმედება განუხორციელებია იმისათვის, რომ მასზე ნ. კ.-ს მინდობილობა გაეცა. "

2.15 ადვოკატმა დ. კ.-მ 2012 წლის 22 მარტის ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ თავდაპირველად საჩივრის ავტორთან შეთანხმდა ჰონორართან დაკავშირებით, ამასთან ადვოკატს 10 000 ა.შ.შ. დოლარი უნდა დაემატებინა სავაჭრო თანხაზე რათა 80 000 ა.შ.შ. დოლარიანი ქონება არ დაკარგულიყო.

2.16 ადვოკატის განმარტებით, წ.-სა და ადვოკატს შორის არსებული შეთანხმების მიხედვით, ადვოკატმა კ.-ს გადასცა 10 000 ა.შ.შ. დოლარი. ადვოკატის განმარტებით, საქმის მოგების შემთხვევაში, წ. დაუბრუნებდა ადვოკატს 10 000 ა.შ.შ. დოლარს და გადასცემდა ჰონორარს 5 000 ა.შ.შ. დოლარის ოდენობით. ადვოკატის განმარტებით,კუთვნილი 10 000 ა.შ.შ. დოლარი დაბრუნებისთვის, გააუქმებდა ხელშეკრულებას ნ. კ.-სთან და კუთვნილ თანხას დაიბრუნებდა.

2.17 ადვოკატის განმარტებით, ჰონორარის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნის შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა წ.-სა და დ. კ.-ს შორის. ადვოკატის განცხადებით, წ.-ს თანხა აუქციონზე სავაჭროდ სჭირდებოდა, შესაბამისად ის დაეხმარა კლიენტს საკუთარი თანხით.

2.18 ადვოკატმა დ. კ.-მ, ეთიკის კომისიის 2012 წლის 6 აპრილის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ წ.-ს ანგარიშის არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა, როდესაც ე. წ.-ს შეატანინა სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში, 2011 წლის დეკემბრის თვეში. ადვოკატის განმარტებით, ამ მომენტისთვის წ.-ს უკვე ჰქონდა ეთიკის კომისიაში შემოტანილი საჩივარი და ამ დროისთვის რწმუნებულებაც გაუქმებული იყო, თუმცა, წ.-ს ეხმარებოდა, რადგან მან სთხოვა დახმარება და ჰონორარის თაობაზეც შესთავაზა ხელშეკრულების გაფორმება.

2.19 ადვოკატმა განმარტა, რომ ნ. კ.-სთან მინდობილობა გააფორმა, რადგან ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, ე. წ. დაზარალდებოდა და ვერაფერს მიიღებდა. ადვოკატმა განმარტა, რომ მის მიზანი ამ შემთხვევაში ჰონორარის მიღება იყო 5000 ა.შ.შ. დოლარის ოდენობით, რომელსაც აუქციონზე ქონების გატანის შემთხვევაში ვერ მიიღებდა.

2.20 ადვოკატის განცხადებით, ე. წ.-ს სურდა, ადვოკატს დაემატებინა აუქციონისთვის თანხა 6 000 ა.შ.შ. დოლარის ოდენობით, მაგრამ შეთანხმება არ გაფორმდა მხარეებს შორის. ადვოკატის განცხადებით, წ.-მ მოსთხოვა ხელწერილის დაწერა და ადვოკატმაც გააფორმა 2012 წლის 9 მარტის ხელწერილი. მხარები შეთანხმდნენ, რომ 9 მაისამდე აღარ შეხვდებოდით ერთმანეთს. ადვოკატმა განმარტა, რომ ე. წ.-ს ანგარიშს ყადაღა დაადო 16 მარტს, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ე. წ.-ს მიერ სააღსრულებო წარმოება შეჩერდა.

2.21 ადვოკატმა განმარტა, რომ კ.-სა და წ.-ს შორის უფლების დათმობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელი იყო მესაკუთრის თანხმობა და ამიტომ ვერ მოახერხებდა, რომ ე. წ. გამხდარიყო იპოთეკარი. ნო. კ.-ს კი არ სურდა ე. წ.-სთან შეთანხმება, ადვოკატის ცდის მიუხედავად, შეთანხმება ვერ მოხდა.

ნ. კ.ს ახსნა–განმარტება:

3.1 ადვოკატ დ. კ.-ის შუამდგლომლობის საფუძველზე, 2011 წლის 2 დეკემბერს ნ. კ.ს მიერ წარმოდგენილი წერილობითი ახსნა–განმარტების მიხედვით, ნ. კ.-ს ნო. კ.-სთან ჰქონდა დავა სესხის სახით გადაცემული 10 000 ა.შ.შ. დოლარის დაბრუნებისა და ამ თანხაზე დარიცხული პროცენტის ამოღების მიზნით.

3.2 ნ. ნ. კ.ს განმარტებით, მას დაუკავშირდნენ ე. წ. და მისი რწმუნებული დ. კ. და შესთავაზეს, მას არ აეღო სააღსრულებო ფურცელი გარკვეული დროის განმავლობაში, ვინაიდან, ე. წ. აცხადებდა პრეტენზიას ნო. კ.-ს ქონებაზე და მასაც სურდა გაეტანა ეს ქონება აუქციონზე.

3.3 ნ. ნ. კ.ს განმარტებით მოლაპარაკებიდან რამდენმე თვის შემდეგ, ის დაუკავშირდა ადვოკატსა და ე. წ.-ს და განუცხადა მათ, რომ ვერ დაელოდებოდა ე. წ.-ს მიერ სააღსრულებო ფურცლის აღებას ფინანსური მდგომარეობის გამო. ე. წ.-მ ნ. კ.-ს გადასცა 500 აშშ დოლარი და შეჰპირდა, რომ სრულად დაუფარავდა ნო. კ.-ს ვალს.

3.4 ნ. ნ. კ.ს განმარტებით, ე. წ.-სთან შეთანხმების შემდეგ, მას რამდენიმე დღეში დაუკავშირდა ადვოკატი დ. კ.. იპოთეკარსა და ადვოკატს შორის სანოტარო წესით გაფორმდა ხელშეკრულება 10 500 აშშ დოლარის გადაცემის თაობაზე. დ. კ.-მ ნ. კ.-ს გადაუხადა 10 000 აშშ დოლარი, ხოლო ე. წ.-ს გადახდილი 500 ა.შ.შ. დოლარი გადახდილად ჩაითვალა. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. კ. უარს ამბობდა ედავა ნო. კ.-სთან მისი კუთვნილი თანხის, 10 000 ა.შ.შ. დოლარის დაბრუნების თაობაზე.

3.5 ნ. ნ. კ.ს განმარტებით, დ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ე. წ.-მ მოითხოვა მისთვის გადაცემული თანხის 500 ა.შ.შ. დოლარის დაბრუნება. ამის გამო, ნ. კ. დაუკავშირდა დ. კ.-ს და მან კ.-ს გადასცა 500 ა.შ.შ. დოლარი, რომელიც ნ. კ.-მ, თავის მხრივ, გადასცა ე. წ.-ს.

3.6 ნ. ნ. კ.ს განმარტებით, მასსა და დ. კ.-ს შორის გაფორმდა რწმუნებულება, რომლის მიხედვით, ნ. კ. დ. კ.-ს ანიჭებდა უფლებამოსილებას, დაეცვა მისი ინეტერესები ნო. კ.-სთან დავის დროს.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1.2011 წლის 9 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2.საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ დ. კ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი, მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილი.

4.3.ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ თუ ადვოკატმა კლიენტს არ შეუთანხმა და მისი ინფორმირების გარეშე გააფორმა რწმუნებულება ნ. კ.-სთან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კლიენტის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას. კომისიამ მიიჩნია, რომ შესაძლოა თავდაპირველად კლიენტი საქმის კურში გახლდათ და ჩართული იყო ნ. კ.-სთან მოლაპარაკებების წარმოებისას, თუმცა საქმის მსვლელობის შემდგომ ეტაპზე, კომისიას წარმოეშვა ვარაუდი, რომ ნ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმებისა და თანხის 10 000 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე კლიენტს არ გააჩნდა ინფორმაცია და ადვოკატი არ მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებული წესით.

4.4.ეთიკის კომისიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა დ. კ.-მ გააფორმა ხელშეკრულება ნ. კ.-სთან 10 000 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დარღვევას.

4.5.ეთიკის კომისია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნ. კ.-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით ადვოკატს უნდა მიეღო მატერიალური სარგებელი, ამასთან, შესაძლოა გაფორმებული ხელშეკრულება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ნ. კ. უარს ამბობდა ედავა ნო. კ.-სთან,

ხოლო ადვოკატს კი წარმოეშობოდა უფლება ნო. კ.-სთვის მოეთხოვა ფულადი ანაზღაურება, რაც სავარაუდოდ ადვოკატის ფინანსური სარგებლისა და მისგან წარმოშობილ დაინტერესებაზე მიუთითებდეს.

4.6. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა დ. კ.-მ გაუფორმა რწმუნებულება ნ. კ.-ს, რათა დაეცვა მისი სამართლებრივი უფლებები ნო. კ.-სთან დავის დროს და ამავდროულად, ადვოკატი იცავდა ე. წ.-ს ინტერესებს ნო. კ.-სთან დავისას ადგილი ექნება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევას.

5. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა რა "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 36-ე მუხლით, 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. **ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

6.1.1. ადვოკატი დ. კ. იცავდა ე. წ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტს ნო. კ.-სთან წარმოებულ სამოქალაქო დავის თაობაზე, სესხად გადაცემული 76 000 ა.შ.შ. დოლარის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. ე. წ.-ს 2011 წლის 9 ნოემბრის საჩივარი, საქმის ფურცელი 3
2. ე. წ.-ს 2011 წლის 22 ნოემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 19-20
3. ე. წ.-ს 2011 წლის 2 დეკემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 50
4. ადვოკატ დ. კ.-ის 2011 წლის 29 ნოემბერის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 22
5. ე. წ.-სა და ადვოკატ დ. კ.-ს შორის 2011 წლის 28 აპრილს გაფორმებული რწმუნებულება, რეგისტრაციის #

6.1.2. ადვოკატ დ. კ.-ს საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კლიენტისაგან უნდა მიეღო ანაზღაურება 5000 ა.შ.შ. დოლარი ოდენობით, თუმცა აღნიშნული შეთანხმება წერილობით არ გაფორმებულა

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. ე. წ.-ს ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 9 მარტის სხდომის ოქმი, გვერდი 4
2. ე. წ.-ს ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 6 აპრილის სხდომის ოქმი, გვერდი 7
3. ადვოკატ დ. კ.-ის 2011 წლის 29 ნოემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 24
4. ადვოკატი დ. კ.-ის ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 6 აპრილის სხდომის ოქმი, გვერდი 6-7

6.1.3. ადვოკატმა კლიენტს შესთავაზა სესხის სახით მისგან თანხის აღება, სანაცვლოდ კლიენტი ნო. კ.-ს კრედიტორებს გაისტუმრებდა და ნო. კ.-ს ქონებას ადვოკატის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთავდა. კლიენტმა უარი განაცხადა აღნიშნულ შეთავაზებაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. ე. წ.-ს 2012 წლის 2 დეკემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 51
2. ადვოკატ დ. კ.-ის ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 მარტის სხდომის ოქმი, გვერდი 5

6.1.4. სასამართლომ 2011 წლის 9 მარტს დააკმაყოფილა ე. წ.-ს მოთხოვნა ნო. კ.-სთვის 76 000 ა.შ.შ. დოლარის გადახდის თაობაზე. ნო. კ.-ს ქონების მიმართ გამოყენებული იქნა სარჩელის ურზუნველყოფის ღონისძიება - ქონებაზე ყადაღის დადება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2011 წლის 9 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე # X/XXX-XX
2. ე. წ.-ს 2011 წლის 2 დეკემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 51

3. ადვოკატ დ. კ.-ის 2011 წლის 29 ნოემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 22

6.1.5. 2011 წლის 2 მარტს ნ. კ.-სა და ნო. კ.-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნ. კ.-მ ნო. კ.-ს ასესხა 3 000 ა.შ.შ. დოლარი, (5195 ლარი) 6 თვის ვადით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

2011 წლის 2 მარტის სესხის ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუს ლ. ი.-ის მიერ, სანოტარო რეგისტრაციის #

6.1.6. 2011 წლის 23 სექტემბერს ნ. კ.-სა და ნო. კ.-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნ. კ.-მ ნო. კ.-ს ასესხა 7 000 ა.შ.შ. დოლარი 3 თვის ვადით. იპოთეკის საგანს წარმოადგენდა მსესხებლის - ნო. კ.ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, გორის ქ. # 3 - სარდაფი 101.20 კვ. მ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

2011 წლის 23 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუს ლ. ი.-ის მიერ, სანოტარო რეგისტრაციის #

6.1.7. ე. წ. ნ. კ.-ს შეუთანხმდა, რომ 3-4 თვე ნო. კ.ს ქონებაზე აღსრულებას არ მიაქცევდა, რისთვისაც წ.-მ კ.-ს გადაუხადა 500 ა.შ.შ. დოლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. საჩივრის ავტორის 2011 წლის 2 დეკემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 51
2. ადვოკატ დ. კ.-ის 2011 წლის 29 ნოემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 22
3. ადვოკატ დ. კ.-ის ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 9 მარტის სხდომის ოქმი, გვ 6.

6.1.8. 2011 წლის 1 ნოემბერს (წ.-სა და ნ. კ.ს შეთანხმებიდან მეორე დღეს) ადვოკატ დ. კ.-სა და ნ. კ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ადვოკატმა კ.-ს გადასცა 10 500 ა.შ.შ. დოლარი. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, ნ. კ. უარს ამბობდა ნო. კ.-სთვის გადაცემულ (გასესხებულ) 10 000 ა.შ.შ. დოლარზე და მასზე დარიცხულ სარგებლის უკან დაბრუნებაზე. ხელშეკრულების მიხედვით, ნ. კ. უარს ამბობდა მის

სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული ნო. კ.-ს უძრავი ქონების მიმართ პრეტენზიის წარმოშობის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუს ლ. ი.-ის მიერ, სანოტარო რეგისტრაციის # X
2. ადვოკატ დ. კ.-ის ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 9 მარტის სხდომის ოქმი, გვ 6.

6.1.9. ადვოკატმა დ. კ.-მ, ე. წ.-ს მიერ ნ. კ.სთვის გადაცემული 500 ა.შ.შ. დოლარი გადახდილად ჩაითვალა და ნ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას ნ. კ.-ს 10 000 ა.შ.შ. დოლარი გადაუხადა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. ე. წ.-ს ახსნა-განმარტება, 2012 წლის 9 მარტის სხდომის ოქმი, გვერდი 6
2. ადვოკატ დ. კ.-ის ახსნა-განმარტება, 2012 წლის 22 მარტის სხდომის ოქმი გვერდი 5
3. იპოთეკარ - ნ. კ.ს 2011 წლის 2 ნოემბრის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 54

6.1.10. ადვოკატმა დ. კ.-მ 2011 წლის 1 ნოემბერს გააფორმა რწმუნებულება ნ. კ.-სთან, რომლის მიხედვით მარწმუნებელი ანიჭებდა რწმუნებულს უფლებამოსილებას განეხორციელებინა მისი ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში და არბიტრაჟში წარმოებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

2011 წლის 1 ნოემბრის რწმუნებულება, დამოწმებული ნოტარიუს ლ. ი.-ის მიერ, რეგისტრაციის # X

6.1.11. 2012 წლის 9 მარტს ადვოკატმა დ. კ.-მ ე. წ.-ს მისცა პირობა, რომ 10 500 ა.შ.შ. დოლარის სანაცვლოდ, რომელიც გადაუხადა იპოთეკარ ნ. კ.-ს, წ.-სგან მოითხოვდა მხოლოდ 14 000 ა.შ.შ. დოლარს. ე. წ.-ს აღნიშნული თანხა უნდა გადაეცა ადვოკატისთვის არაუგვიანეს 2012 წლის 9 მაისისა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

ადვოკატ დ. კ.-ის 2012 წლის 9 მარტის ხელწერილი, საქმის ფუცელი 91- 92

6.1.12. ადვოკატმა კლიენტის ქონებაზე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღის დადება, რადგან სასამართლოსადმი მიმართვას აპირებდა ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა და კლიენტის ქონებას დაადო ყადაღა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

2012წლის 19 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმე # XXXX-XX

6.1.13. ადვოკატმა კლიენტთან დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში შეიტყო კლიენტის ფულადი სახსრების არსებობისა და ფულის ოდენობის თაობაზე ინფორმაცია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

ეთიკის კომისიის 2012 წლის 6 აპრილის სხდომის ოქმი, გვერდი 4-5

6.2.**საქმეში წარმოდგენილია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:**

6.2.1. მიაწოდა თუ არა ადვოკატმა კლიენტს ინფორმაცია ნ. კ.-სთან 2011 წლის 1 ნოემბერს 10 500 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებისა და რწმუნებულების გაფორმების თაობაზე

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა არ აცნობა, რომ ნ. კ.-სთან გააფორმა ხელშეკრულება 10 000 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე.

ბ) ადვოკატის განმარტებით საჩივრის ავტორი ინფრომირებული გახლდათ ნ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე და კლიენტთან შეთანხმებით გადასცა 10 000 ა.შ.შ. დოლარი კ.-ს.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა 2011 წლის 1 ნოემბერს გადაუხადა 10 000 ა.შ.შ. დოლარი იპოთეკარ ნ. კ.-ს, თუმცა თანხის გადაცემას არ ესწრებოდა ე. წ., მაშინ როდესაც ნ. კ.-სთან მოლაპარაკებების ეტაპზე, სამ შეხვედრაზე ე. წ. იმყოფებოდა და მონაწილეობდა მოლაპარაკებებში. ამასთან, ადვოკატის განმარტება, რომ წ.-მ სამჯერ განაცხადა უარი ნ. კ.სათვის თავად გადაეცა თანხა და ნო. კ.-ს ვალი გაესტუმრებინა, არ მიუთითებს, რომ წ. ინფორმირებული გახლდათ 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულებისა და გაფორმებული რწმუნებულების თაობაზე. კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულების დადებისა და რწმუნებულების გაფორმების თაობაზე უნდა ჩაეყენებინა კლიენტი საქმის კურსში.

კომისია მხედველობაში იღებს გარემოებას, რომ თავად ადვოკატის 2011 წლის 9 მარტის ახსნა-განმარტებით, ე. წ. წინა დღეს შეუთანხმდა კ.-ს, რომ ნ. კ. აღსრულების

პროცედურებისთვის შესაბამის ორგანოს არ მიმართავდა და კ.-ს გადაუხადა 500 ა.შ.შ. დოლარი, დარჩენილი 500 ა.შშ. დოლარი კი მოგვიანებით უნდა გადაეხადა. ბუნებრივია, წ.-ს, რომ ჰქონოდა ინფორმაცია მეორე დღეს დ. კ.-სა და კ.-ს შორის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, გააუქმებდა ნ. კ.-სთან დადებულ შეთანხმებას 500 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე. ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე მხარე, ნ. კ. ადასტურებს ეთიკის კომისიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, რომ ხელშეკრულების გაფორმებას ადვოკატი დ. კ. ესწრებოდა და ე. წ. არ მონაწილეობდა ამ მოლაპარაკებაში.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია ნ. კ.-სთან 10 500 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებისა და რწმუნებულების გაფორმების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს

1. 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება დამოწმებული ნოტარიუს ლ. ი.-ის მიერ, სანოტარო რეგისტრაციის # X
2. 2011 წლის 1 ნოემბრის რწმუნებულება, დამოწმებული ნოტარიუს ლ. ი.-ის მიერ, რეგისტრაციის # X
3. ადვოკატ დ. კ.-ის ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 2012 წლის 9 მარტის სხდომის ოქმი, გვერდი 6
4. ე. წ.-ს ახსნა-განმარტება, ეთიკის კომისიის 22 მარტის და 6 აპრილის სხდომის ოქმი, გვერდი 4 და 6

7. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1.ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. კ.-ის მიერ დარღვეული იქნა შემდეგი ნორმები:

ა) „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის მიხედვით „ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება.“

ბ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის მეორე წინადადება, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია ... ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ.“

გ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

დ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის თანახმად „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.“

ე) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი არსებობს აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი.“

ვ)„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად.“

ზ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, რომლის მიხედვით, ”ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია...“

თ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტი, რომლის მიხედვით „ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ანგარიშგება“.

8.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ადვოკატს ევალება კვალიფიციურად და კეთლსინდისიერად განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას, გამოიყენოს მხარეების მორიგების შესაძლებლობა, რათა დავის მინიმალური დანახარჯებით აწარმოოს კლიენტის წარმომადგენლობა სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას.

8.3. ადვოკატმა დ. კ.-მ განახორციელა რიგი საპროცესო მოქმედებები კლიენტის საქმის წარმოებისათვის: თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმომადგენლობისას წარადგინა სარჩელი, განცხადება სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა უზრუნველყოფის განცხადება და ყადაღა დაადო ნო. კ.ს ქონებას, ამასთან დაკმაყოფილა წ.-ს სარჩელი მიმართ. შესაბამისად, ადვოკატმა სასამართლოში წარმომადგენლობა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელა და კლიენტსაც პრეტენზია წარმომადგენლობის ამ ნაწილში არ ჰქონია, რაც კომისიას უქმნის იმის საფუძველს, რომ ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის ამ ეტაპზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული ვალდებულებები არ დაურღვევია.

8.4.ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი უნდა ურჩევდეს კლიენტს მორიგებას, რომ დავის მინიმალური დანახარჯებით მოხდეს კლიენტის საქმეზე შედეგის მიღწევა, რაც პროცესის ეკონიმიურობას შეუწყობს ხელს. ადვოკატი უნდა ცდილობდეს, რომ კლიენტის საქმესთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესებიდან და კლიენტის ნებიდან გამომდინარე აწარმოოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან, რომ დავის გადაწყვეტა მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით შედგეს.

8.5.მოცემულ შემთხვევაში ე. წ.-ს სურვილს წარმოადგენდა მორიგება მიეღწია მეორე მხარესთან, შესაბამისად ადვოკატ დ. კ.-ს, როგორც წ.-ს წარმომადგენელს ევალებოდა დახმარებოდა კლიენტს ნ. კ.-სთან მორიგების მიღწევაში, ხოლო მხარეების შორის ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში დაეცვა მორიგების პირობები.

8.6.კლიენტმა ნ. კ.-ს გადაუხადა 500 ა.შ.შ დოლარი და შეთანხმდნენ, რომ ნ. კ. აღსრულების პროცედურებისთვის არ მიმართავდა შესაბამის ორგანოს, 3-4 თვე არ გაიტანდა ქონებას აუქციონზე. აქედან გამომდინარე, კლიენტის მიერ დადებული შეთანხმება ადვოკატს ავალდებულებდა, როგორც წ.-ს წარმომადგენელს ემოქმედა შეთანხმების მიხედვით, დაეცვა მხარეებს შორის არსებული შეთანხმება და ხელი შეეწყო მისი შესრულებისთვის.

8.7.ადვოკატმა დ. კ.-მ არ დაიცვა წ.-სა და კ.-ს შორის არებული შეთანხმება, კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ დაუკავშირდა ნ. კ.-ს და კლიენტის ნებართვისა და მასთან შეთანხმების გარეშე გადაუხადა 10 000 ა.შ.შ. დოლარი. ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების უგულებელყოფით, კ.-ს წ.ზე უკეთესი პირობა შესთავაზა, რის შედეგადაც ნ. კ.-მ უარი განაცხადა წ.-სთან არსებულ შეთანხმებაზე და ადვოკატის შემოთავაზებას დათანხმდა, ფაქტიურად ადვოკატმა კონკურენცია გაუწია კლიენტს და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა.

8.8.წარმომადგენლობის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მის პირად ინტერესებთან შედარებით, რათა დაცული

იყოს კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება წარმომადგენლობის განხორციელების განმავლობაში. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპს მჭიდრო კავშირი აქვს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან.

8.9. ადვოკატმა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება ნ. კ.-სთან, თუმცა ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები არ გახლდათ კეთილსინდისიერი და წარმომადგენლობის ამ ეტაპზე ადვოკატმა არ დაიცვა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, ადვოკატმა საკუთარი ინტერესები დააყენა უპირატესად, რითაც კლიენტის ინტერესები მნიშვნელოვნად დააზარალა და არ განახორციელა წარმომადგენლობა სათანადოდ.

8.10. წ.-სა და კ.-ს შორის მოლაპარაკებების საწყისი ეტაპიდანვე ადვოკატმა კლიენტს, მისი ინტერესების საწინააღმდეგო წინადადება შესთავაზა. ადვოკატის წინადადება მისი ინტერესების დაცვას მოემსახურებოდა და კლიენტის ინტერესების სასარგებლო არ გახლდათ. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტს შესთავაზა, სესხის სახით თანხის გადასცემა. ადვოკატმა კლიენტს განუცხადა, რომ აღნიშნული თანხით შეეძლო ნო. კ.-ს ქონება შეეძინა, სანაცვლოდ კი კლიენტს უნდა დაეტვირთა იპოთეკით ნო. კ.-ს ქონება ადვოკატის სასარგებლოდ.

8.11. ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს, ინტერესთა კონფლიქტი სხვა პირთა ინტერესებსა და კლიენტის ინტერსებს შორის წარმოადგენს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დარღვევას.

8.12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატმა დ. კ.-მ და კრედიტორმა ნ. კ.-მ გააფორმეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნ. კ. უარს ამბობდა ნო. კ.-სთვის გადაცემულ (გასესხებულ) 10 000 ა.შ.შ. დოლარზე და მასზე დარიცხულ სარგებლის უკან დაბრუნებაზე. ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით, ნ. კ. უარს ამბობდა მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული ნო. კ.-ს უძრავი ქონების მიმართ პრეტენზიის წარმოშობის თაობაზე.

8.13. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ადვოკატის პირადი ინტერესი კლიენტის ინტერესთან მოვიდა წინააღმდეგობაში და წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი. წ.-ს, როგორც ნო. კ.ს კრედიტორის ინტერესს წარმოადგენდა, რომ ნო. კ.სთვის გადაცემული თანხა დაებრუნებინა. ადვოკატიც გახლდათ ნო. კ.ს კრედიტორი და წ.-ს მსგავსად მის ინტერესებში იყო, რომ ნო. კ.-სთვის მოეთხოვა ვალდებულების შესრულება. ადვოკატს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუჩნდა პირადი დაინტერესება თავად მიეღო ნო. კ.-სგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა და დარიცხული პროცენტები, რადგან

ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატი დ. კ. ჩაენაცვლა ნ. კ.-ს და თავად გახდა ნო. კ.-ს კრედიტორი ნ. კ.ს ნაცვლად.

8.14. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით ადვოკატს დამატებითი უპირატესობა გაუჩნდა კლიენტთან შედარებით, რადგან ე. წ.-ს მიერ ნო. კ.-სთვის სესხის სახით გადაცემული თანხა არ იყო უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით, ნ. კ.ს სესხი კი უზრუნველყოფილი გახლდათ. შესაბამისად, ადვოკატს წამოეშვა უფლება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიემართა აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის და ქონება აუქციონის წესით გასხვისდებოდა. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადვოკატს წარმოეშვა შესაძლებლობა, რომ ნო. კ.-ს ქონებაზე მიექცია აღსრულება.

8.15. ადვოკატმა დ. კ.-მ პირადი დაინტერესებით გააფორმა ხელშეკრულება ნ. კ.-სთან, რაც დასტურებდა თავად ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით - 2012 წლის 9 მარტის ხელწერილით, რომლის მიხედვით ადვოკატი იღებდა ვალდებულებას, რომ კლიენტისაგან ნ. კ.სთვის გადაცემული 10 500 ა.შ.შ. დოლარის ნაცვლად 14 000 ა.შ.შ. დოლარი მოეთხოვა. ადვოკატმა ისიც დაადასტურა, რომ იგი მოტივირებული იყო მიეღო ჰონორარი - 5000 აშშ დოლარის ოდენობით და საამისოდ კონკრეტული გზაც ჰქონდა დასახული; კერძოდ, ადვოკატმა ხელშეკრულება გააფორმა იპოთეკარ ნ. კ.-სთან და იმ შემთხვევაში, თუ წ. თანხას არ დაუბრუნებდა, ადვოკატი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიიღებდა ჰონორარს.

8.16. კლიენტსა და ადვოკატს შორის შეთანხმება 14 000 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის და ნ. კ.-სთან ჩანაცვლების თაობაზე ვერ შედგა და კლიენტის პრობლემა კვლავ მოუგვარებელი გახლდათ, მაშინ როდესაც ადვოკატს მიეცა საშუალება მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება მისი ინტერესების დასაცავად გამოეყენებინა: ადვოკატმა კლიენტისაგან ნ. კ.სთვის გადაცემული თანხაზე 10 000 ა.შ.შ. დოლარზე მეტი ანაზღაურება მოითხოვა, ამასთან მოთხოვნილი თანხა ჰონორარის ანაზღაურებაზე, 5000 ა.შ.შ. დოლარზეც მეტი გახლდათ. რაც შეეხება ადვოკატის განცხადებას, რომ კლიენტს არ გააჩნდა თანხა ნ. კ.სთვის გადაეხადა, ან უარი განაცხადა ნ. კ.-სთან თანხის გადაცემაზე, ადვოკატს არ აძლევდა უფლებას, რომ თავად გადაეხადა ნ. კ.სათვის 10 000 ა.შ.შ. დოლარი და პირადად გარიგებოდა მას კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

8.17. მოცემულ შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესსა და კლიენტის ინტერესს შორის, ადვოკატის მიერ იპოთეკარ ნიუგზარ ნ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმებისა და 10 000 ა.შ.შ. დოლარის გადაცემის მომენტიდან წარმოიშვა, მაგრამ ადვოკატმა ამავე დღეს 2011 წლის 1 ნოემბერს მეორე ხელშეკრულება გააფორმა ნ. კ.-სთან, ადვოკატმა ნ. კ.-სთან გააფორმა რწმუნებულება, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. შესაბამისად, ადვოკატ დ. კ.-ს წარმოეშვა ვალდებულება ნ. კ.-სთან და წ.-სთან

გაფორმებული რწმუნებულების მიხედვით, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლიენტების ინტერესები დაეცვა.

8.18. ეთიკის კომისიამ, საქმეზე 015/10 ინტერესთა კონფლიქტის საკითხის განხილვისას დაადგინა, რომ „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.“ .... ,,ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

8.19. ადვოკატს არ გააჩნდა უფლებამოსილება გაეფორმებინა რწმუნებულება ნ. კ.-სთან, ისევე როგორც არ უნდა ემოქმედა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ ნ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას. კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია მისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით და ადვოკატთა შესახებ კანონით დადგენილი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება.

8.20. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა მოიცავს ასევე კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ დ. კ.-მ არ შეასრულა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება დაარღვია.

8.21. ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოების პროცესში მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტისაგან, რომელიც ადვოკატმა მის სასარგებლოდ და

კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენა. კერძოდ, ადვოკატისათვის ცნობილი გახლდათ ნო. კ.-სა და ნ. კ.-ს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, ადვოკატმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თავად გააფორმა ხელშეკრულება ნ. კ.-სთან და გადასცა 10 000 ა.შ.შ. დოლარი. ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში მოიპოვა კლიენტის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია. ადვოკატისათვის ცნობილი გახლდათ, რომ კლიენტმა გაყიდა მანქანა და საბანკო ანგარიშზე თანხა განათავსა. შესაბამისად, კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებით ადვოკატმა მოითხოვა ყადაღის დადება კლიენტის საბანკო ანგარიშებისათვის, სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა.

8.22. ეთიკის კომისიამ 2011წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინური საქმე # 074/10 განმარტა, რომ „ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. ...კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატი მუდმივად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით... კომისია მიიჩნევს, რომ საქმის მსვლელობის თაობაზე ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად“.

8.23. ადვოკატმა არათუ გასაგებ ენაზე და დროულად მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია ნ. კ.-სთან ხელშეკრულებისა და რწმუნებულება გაფრომების თაობაზე არამედ საერთოდ არ მიაწოდა ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ქმედების თაობაზე, რომელიც კლიენტის საქმის წარმოებას უკავშირდებოდა. კლიენტის გახლდათ დაინტერესებული მხარე, რომელის ინტერესები ეწინააღმდეგებოდა ნ. კ.ს ინტერესებს, შესაბამისად, ადვოკატს ევალებოდა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი ქმედების განხორციელბის თაობაზე მიეწოდებინა კლიენტისათვის ინფორმაცია, ინფორმირებული კლიენტი შეძლებდა მისი სასარგებლო გადაწყვეტილებები მიეღო, ან თუნდაც უარი ეთქვა ადვოკატ დ. კ.-ის მომსახურებაზე და სხვა ადვოკატის იურიდიული მომსახურებით ესარგებლა.

8.24. ადვოკატმა დ. კ.-მ ნ. კ.-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას, წ.-ს მიერ ნ. კ.სთვის გადახდილი 500 ა.შ.შ. დოლარი მის მიერ გადახდილ თანხად ჩაითვალა და კ.-ს 10 000 ა.შ.შ. დოლარი გადაუხადა. კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა განკარგა კლიენტის თანხა, 500 ა.შ.შ. დოლარი მისი ნებართვისა და ინფორმირებულობის გარეშე, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს. ადვოკატი ვალდებული გახლდათ კლიენტისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ ნ. კ.-სთან ხელშეკრულების დადებისას კლიენტის მიერ წინა დღით

გადახდილს 500 ა.შ.შ. დოლარს მის გადახდაში ითვლიდა, შესაბამისად, მიეღო ნებართვა კლიენტის თანხების განკარგვის თაობაზე, რაც ადვოკატმა არ განახორციელა და კლიენტის ინტერესები დააზარალა.

8.25. ადვოკატმა ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ - დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო ინტერესთა კონფლიქტის, ინფორმაციის მიწოდების და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ვალდებულების შესაძლო დარღვევის თაობაზე, ადვოკატმა იმოქმედა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ: კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია საბანკო ანგარიშების თაობაზე ადვოკატმა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენა და სასამართლოში წარადგინა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე. ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 2012 წლის 19 მარტის სასამართლოს განჩინებით კლიენტის საბანკო ანგარიშებს დაედო ყადაღა, აღნიშნული დავა მხარეებს შორის დღესაც მიმდინარეობს.

III სარეზოლუციო ნაწილი:

კომისიამ იხელმძღვანელა ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, მე-5 მუხლის „ე" პუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-მე-5 მუხლით, მე-6 მუხლის პირველი ნაწილით და მე-8 მუხლის მე-13 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19 და მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით, და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ /სიითი #/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. # 32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე:	ეკატერინე გასიტაშვილი
კომისიის წევრი:	არჩილ კბილაშვილი
კომისიის წევრი:	დავით კაკაბაძე
კომისიის წევრი:	კახაბერ წერეთელი
კომისიის წევრი:	მარინა კვაჭაძე
კომისიის წევრი:	ცირა შუბითიძე
კომისიის წევრი:	ირაკლი კორძახია
კომისიის წევრი:	გიორგი ბეგიაშვილი
კომისიის წევრი:	ემზარ პაქსაძე
კომისიის წევრი:	ლავრენტი ქავთარაძე
კომისიის წევრი:	დათუნა მოდებაძე
კომისიის წევრი:	ზურაბ ძლიერიშვილი